საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N658 2024 წლის 2 მაისი ქ. თბილისი

ენების ეროვნული ინსტიტუციების ევროპის ფედერაციის საერთაშორისო 21-ე კონფერენციის საქართველოში გამართვის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 დეკემბრის №540 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ასევე ენების ეროვნული ინსტიტუციების ევროპის ფედერაციის მომართვის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს სსიპ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წინადადება ენების ეროვნული ინსტიტუციების ევროპის ფედერაციის საერთაშორისო 21-ე კონფერენციის მასპინძლობისა და ქალაქ თბილისში 2024 წლის 23 – 25 სექტემბერს გამართვის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონფერენციის ორგანიზებისა და სტუმრების მიღების ხარჯების

ანაზღაურება განხორციელდეს საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე